საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1805 2025 წლის 31 ოქტომბერი ქ. თბილისი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარებისა და სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 29 ოქტომბრის №08-03/76445 წერილით წარმოდგენილი დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე:

ა) „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 17[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან;

ბ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის" 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული კანონპროექტი სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების გარეშე წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**